







უიუი არა მაჰვს
„ნიანს“ სიმაღლის! —
კიბეს მივადგამ,
ისე ჩავმოცნი
დიდ აბაუიქე
ბატონ ირაკლის —
ტან-სიტყვა-საქმით
ცაუი აბაშორცნილს!

სსს

ქართული
ბიბლიოთეკა

კაცადონიან

„—ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩვენი ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჰირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს, მტერთა და ძმათა
დავშორდი. მორჩა, ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა,
უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო, ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეტელო,
შენ, აკვნის პიშნო, ცრემლო სამარის...
იბერის ენავ, ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,
დედაო, ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ წერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უტკბობს, შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჰირთა ჩვენთა ტკბილო მაღამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან!“

ირაკლი აბაშვილი

— არა, არა! ქართველები სხვანაირი ხალხი ვართ!.. რაღაც მთლად სხვანაირი!.. დიახ, სხვებისგან ძალიან განსხვავებული!..

— შენ ეს გეჩვენება!

— არა, არა, არაფერიც არ მეჩვენება!.. რატომღაც ჩვენ, ერთი მხრით, პრეტენზიები გვაქვს, მეორე მხრით, ნამეტანი ხატრიანები ვართ!.. დიახ, ნამეტანი! არაა ასე?

— რა გაქვს მხედველობაში?

— ბევრი რამ!.. ყველას ვუფრთხილდებით!.. ყველას ველოლიავენით!.. ყველას პატივს ვცემთ, ღირსეულსაც და უღირსსაც!..

— რას იზამ, მეგობრობა უფრო ძნელია, ვიდრე მტრობა!..

— რატომ სხვებისთვის არაა ძნელი? რატომ ჰგონია ზოგს, რომ საქართველო სასტუმროა და ამ სასტუმროში ყველას შეუძლია იცხოვროს ისე, რომ ჩვენ ანგარიში არ გაგვინოს?!

— ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!..

— რატომ გეჭირდება სხვაზე მეტად ინტერნაციონალიზმი? რატომ მარტო ჩვენ ვამაყობთ მრავალეროვნებით და მრავალენოვნებით? რატომ ვთავაზობთ ძმობას ყველას? რატომ არ გვინდა გავიგოთ, რომ ყოველთვის არამცთუ სხვადასხვა ერები, არამედ ღვიძლი ძმებიც კი არ ცხოვრობენ ძმურად?! უბრალოდ თავს ვიტყუებთ!.. ძმობაც ცალმხრივია და მეგობრობაც!.. რატომ არ ამოვიღეთ ხმა, როცა მწერალმა რასპუტინმა ქართველ ერს შეურაცხყოფა მიაყენა და მერე სულ მალე მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მისცეს?! „გმირობაზე ჩვენ ზომ არ წარვადგენდით სხვა ერის გამლანძღველს?! რატომ აქვს მარტო საქართვე-

რატომ?!

დიალოგი საკუთარ ორკულთან

ლოს რადიოგადამცემები სხვა ენებზე? რატომ არ გადასცემს საკავშირო რადიო მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე?

— ეგ, ალბათ, შეუძლებელია!..

— მაშინ ის რატომაა შესაძლებელი, მოსკოვის რადიო მსოფლიოს ხალხთა 77 ენაზე რომ ლაპარაკობს?! მსოფლიოს ხალხებში ჩვენ არ შევდივართ? რატომ მიგვაჩნია ნორმალურად, უცხოელი სტუდენტები საქართველოში რუსულ ენაზე რომ სწავლობენ?! თუ ქართულ ფაკულტეტებზე სწავლა არ უნდათ, მაშინ რატომ მოდიან საქართველოში?

— ამდენი რატომ რა ამბავია?!

— რატომ თხოულობს ყველა ცალ-ცალკე დიალოგს, მაგრამ როგორც კი ერთად შეიყრებიან, თითქმის ყველანი მონოლოგებზე გადადიან და ერთმანეთს არ უსმენენ?! რატომ გვიჭირავს თვალი მარტო გარდაცვლილთა რეაბილიტაციაზე? ცოცხლების რეაბილიტაცია რატომ გვაინტერესებს, რატომ?! სიკვდილს ველოდებით?! რატომ გვგონია, რომ რეაბილიტაცია ცოცხლებს აწყენს?! არ მესმის, სტალინს რატომ ადარებენ ჰიტლერს?!

— შეადარონ, რა მოხდა მერე?!

— როგორ თუ რა მოხდა?! თუ საკუთარი ჰიტლერი ჰყავდათ, მაშინ საკუთარი გებელსი, საკუთარი გერინგი და საკუთარი ჰიმლერიც ეყოლებოდათ! რატომ იმათზე არაფერს ამბობენ?!

— მაგი რთული საკითხია!..

— რატომ უნოდებენ მოკავშირე რესპუბლიკების სკოლებს ნაციონალურს? რატომაა კიევის უკრაინული სკოლა ნაციონალური და ლენინგრადის რუსული სკოლა — ინტერნაციონალური? რატომ არ უთვლიან სტალინს დანაშაულად იმ ფაქტს, რომ მან დიდი მონაწილეობა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების გარუსებაში? რატომ არაა პასუხი ამ კითხვაზე?! რატომ ვართ ქართველები იოლად დამთმობნი? რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენ თუ სხვას დავუთმობთ, სხვებიც ასე იოლად დაგვიმთმობენ? რატომ გვგონია, რომ ანდაზა, — „ვინც მოითმენს, ის მოიგებს!“ — ქართველების გარდა არავის ეხება?!

ჩვენ მოგვწონს ჩვენი სტუმართმოყვარეობა, მაგრამ რატომ არ ვკითხულობთ, რატომ და როგორ მოსწონს იგი სხვას? რატომ ვართ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უთამოყვარეო სტუმართმოყვარენი? რატომ ვეკითხებით ყველას — „მოგწონთ თუ არა საქართველო?“ რატომ გვგონია, რომ ყველა, ყველა ჩამოსული შემფასებლის დონეზეა? რატომ გვიხარია ბავშვივით, როცა გვეუბნებიან — „ქარგები ხართ“, ან — „თბილისი მოგვწონს“?!


რატომ ვაბრალებთ საკუთარ უმწეობას სხვას? რატომ ვამბობთ, ქართული მინები მიიტაცესო?! მინა თუ შენ თვითონ გაყიდე და გაანიავე, რატომ გიკვირს, რომ საკუთარ სამშობლოში სტუმარი გახდი? დიახ, დიახ! თუ ქართულ მინას არ უპატრონე და ჯაყოებს ჩაუგდე ხელში, მერე ნუნუნებ, ხიზანი გავხდით?!

— ღმერთო ჩემო! ამდენი რატომ რა ამბავია?! ჰო, ჰო, მითხარი, ამდენი რატომ რატომაა?!

— რა გითხრა?! რით გაგახარო?!

გიგლა ბახტაძე

ნ.ს. ბ. ზუგუშვილისა



უსიტყვოდ

ზ.ბ.

თამაზ წივნივაძესთან ჩემმა მტერმა იკამათა! ხმას როგორ ამოვიღებდი, საქმე რომ ჩვენს გამზრდელ ლოზუნგებს არ ეხებოდეს. განა გასაკვირია, ჩვილ ბავშვს ძუძუს რომ მოაცილებენ, აჭყვირდეს და ფეხები გააფიჩინოს? თითქმის ასეთ მდგომარეობაში ჩავყარდი, როცა წავიკითხე თამაზ წივნივაძის „რამდენიმე შენიშვნა“ და „ლოზუნგების ქვეყანა...“ („ლიტერატურული საქართველო“, 30 ივნისი, 14 ივლისი). ვიცი, ასეთი შედარებით კრიტიკოსს იუმორის კარგ საბაბს ვაძლევ, მაგრამ რა გენა? — თავზე ხელი მაქვს აღებული!.. ვერა, აგრე ადვილად ვერ დაუთმობ მას ჩემს გამზრდელ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და ლოზუნგებს! მივყვეთ ფეხდაფეხ თამაზ წივნივაძის დებულებებს. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ჩვენმა ქვეყანამ ძლიერად გაიარა გამარჯვებული და მომნიშვნელოვანი სოციალიზმის ფაზები და ახლა, როცა კომუნიზმი დიდი ხნის აშენებული უნდა გვექნოდეს, „ქვეყანას არა აქვს პური, ყველი, კარაქი, შაქარი... მარილისა და ასანთის გარეშე დავრჩით“...

როგორ გვეადრებათ! ხომ უნდა შეხედოთ საკითხს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან? თავსაყრელად გვექონდა პურიც, ყველიც, კარაქიც, მარილზე და ასანთზე რომ აღარაფერი ვთქვათ. შე დალოცვილო, კომუნიზმს იმიტომ კი არ ვაშენებდით, რაც გვექონდა, იგივე დაგვრჩენოდა? ვაშენებდით იმიტომ, რომ მოგვეპოვებინა, რაც არ გვექონდა! აბა, ნახეთ, რა გიგანტური ნაბიჯები გადავდგით? ყველა ხუთნელდს ხომ ვადაზნებ ადრე ვასრულებდით — ხუთნელდს ოთხ წელიწადში, ცალკეულ ნლებსაც ხომ საალერსო სახელები დავარქვით: «Определяющий, Решающий და завершающий».

ახლა თავისთავად ტემპებს დავავიკრდეთ: სოციალიზმის პერიოდში რომ შევედით, 1933 წელს, 1928 წელთან შედარებით, მრეწველობის პროდუქცია ოთხნახევარჯერ გაიზარდა, საცოდავ ამერიკას ასეთი ზრდასათვის 35 წელი დაჭირდა! ახლა ხალხის კეთილდღეობას არ იჩყვით? მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა ამასობაში ორნახევარჯერ მოიმატა, და, აქედან გამომდინარე, 1936 წელს პარტიამ სოციალიზმის გამარჯვებამდე მიგვიყვანა, რაც აისახა კიდევ კონსტიტუციაში.

ამ ფაქტებს სად წაუხვალ, ამხანაგო კრიტიკოსო? (ისე, ჩემო თამაზ, თუ პოლემიკის მიუხედავად მაინც მეგობრებად დავრჩებით, კარგი იქნება, თუ მეტყვი, სად წაუხვალ, იქნებ მეც წამოგვეყი!.. ეს კიდევ არაფერი! — ელექტროენერგია 1940 წელს 48 მილიარდ კილოვატსათს აჭარბებდა. 1913 წელს კი სულ 2 მილიარდი იყო, ანუ გაიზარდა 24-ჯერ. ხოლო თუ 1801 წლიდან ვიანგარიშებთ, 48 მილიარდჯერ! მომნიშვნელოვან სოციალიზმში რომ შევედით, წარმოების საშუალებათა წარმოება 822-ჯერ გავზარდეთ 1922 წელთან შედარებით! აბა!

თქვენი ამბავი რომ ვიცი, ამხანაგო კრიტიკოსო, მეტყვით — ეს ციფრები კი ამოგინერია ყრილობებზე წაკითხული საანგარიშო მოხსენებებიდან, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე! გამახსენებთ ომისდროინდელ ინფორმაციურ ცნობებს, დარწმუნებული ვარ, შეკრებილი გექნებათ დახოცილი და ტყვედ ჩაგდებული ფაშისტების რაოდენობა, სხვადასხვა დროს რომ აცხადებდნენ და მთელ გერმანულ მოსახლეობაზე მეტი გამოგვიდიდოდათ! ასე რომ, ზიტ-ლურს დღესაც ჩვენი ვალი მართებს! მაგრამ ომის დროს გამხსნევა გვეჭირდებოდა და ასე იმიტომ ხდებოდა! მშვიდობიან მშენებლობაში, პირიქით, ცოტას გვამუხრუჭებდნენ კიდევ, ნამეტანი რომ არ გვექნა და დროზე ადრე არ აგვეშენებინა კომუნიზმი!..

თქვენ რომ თამაზ წივნივაძე ხართ და არავის აპატიებთ, თუ წანარმოებში რაიმე წინააღმდეგობა შენიშნეთ, კი ვიცი მე, მაგრამ რატომღაც „მანიფესტის“ მიმართ დიდ მოთმინებას იჩენთ. ვერ ვიტყვით, რომ ვერ შეამჩნიეთ წინააღმდეგობები, რადგან თვითონვე ამოგინერიათ მანიფესტიდან ურთიერთგამომრიცხავი დებულებები: „მუშებს არა აქვთ სამშობლო...“, „თანამედროვე სამრეწველო შრომამ... რომელიც ერთნაირია როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში, ისე გერმანიაში, მოაცალა პროლეტარს ყოველივე ეროვნული ხასიათი“. ამ ციტატებიდან გამომდის, რომ მშრომელებს ეროვნება არა აქვთ. იგი ალბათ, ბურჟუაზიას აქვს. მაგრამ რაკი ბურჟუაზიის დაღუპვა გარდაუვალია, ცნებები „ერი“ და „სამშობლო“ სრული უაზრობაა! ხომ ასე გამოდის? ახლა ვნახოთ, რა გამოდის შემდეგი ციტატებიდან: „ევროპის ერების გულწრფელი საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თვითონვე ეს ერი სრული ბატონ-პატრონი საკუთარ სახლში...“, „ევროპის მუშებისათვის პოლონეთის დამოუკიდებლობა ისევე საჭიროა, როგორც თვით პოლონეთის მუშებისათვის.“ კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ მარქსი და ენგელსი მარტო ევროპაზე ლაპარაკობენ ასე, თორემ აფრიკაში სხვაგვარადაა საქმე, მაგრამ შემდეგ ციტატაში უფრო

ზოგადად და გარკვევით არის ნათქვამი: „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება შესაძლებელია და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა“. ამ ციტატებიდან ხომ ნათელია, რომ ცნებები „ერი“ და „სამშობლო“ სულაც არ ყოფილა უაზრობა! წინააღმდეგობა აშკარაა. თქვენ კი წერთ: „საოცარია, თანამედროვე მარქსისტები მაინცდამაინც ამ აზრს არ უწევენ ანგარიშს“. კი, მართალია, არ უწევენ ანგარიშს, კი, მართალია, მიაჩნიათ, რომ ეროვნულ კონფლიქტებს არა ერთა თავისუფლება იწვევს, არამედ მათი ბოლომდე შეურწყმელობა, მაგრამ, „მანიფესტი“ რა შუაშია? მისმა ავტორებმა საგანგებოდ გვიკარნახეს ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრი: რომელიც გინდა აირჩიე, მაინც მარქსისტი იქნები! თანამედროვე მარქსისტებმა პირველი აზრი აირჩიეს. აბა, სად გვცალია, ჯერ ერების განთავისუფლებათ ვიფიქროთ? — კომუნიზმი გვაქვს სასწრაფოდ ასაშენებელი! ამიტომაც, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლოზუნგს, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ კომუნიზმის აშენების ფუნქცია დაუკისრეთ“.

ვერ დაგეთანხმებით, რომ „ლოზუნგებით აშენებული ქვეყანა კი მე ჯერ არსად მინახავს, ალბათ, არც თქვენს!“ აბა, რითი გგონიათ ჩვენი ქვეყანა აშენებული? ვისერით ლოზუნგს „ხუთნელდი — ოთხ წელიწადში!“, თითს თითზე არ დავაკარებთ და სამნახევარ წელიწადში ხუთნელდის გეგმა დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული. აბა, ლოზუნგი არ იყოს, გვიშველიდა რამე? „გადავაქციეთ თბილისი კომუნისტური შრომის ქალაქად“ — და უკვე გადაქცეულია ერთი სიტყვით, რაღა ლოზუნგი და რაღა ნატვრის თვალა!

შეიძლება, მართალი ბრძანდებით, რომ სადღესოდ ძველებურად ვეღარ ჟღერს ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!“ მაგრამ არა იმის გამო, რომ დღეს პროლეტარი აღარ არსებობს დედამიწის ზურგზე, „თუ აღარ არის, როგორღა შეერთდნენ“, არამედ იმიტომ, რომ ამ ლოზუნგმა თავისი მისია შეასრულა, ქვეყნიერების ზურგზე პროლეტარი აღარსად დარჩა და რაც ვიცავით, ავერ ვართ შეერთებულნი!

„მინა — გლეხს, ქარხანა — მუშას!“ — არც ეს ლოზუნგი მიგანიათ მართებულად!.. პირიქით, თუ მინაც ჰქონდა გლეხს, ისიც წაართვეს, მუშებსაც უთხრეს: „რაქნია... დედაბერი რომ ბუთქავს ნამახვანში!“ აჰ, ასე არ შეიძლება, ამხანაგო კრიტიკოსო! იმ დედაბრის სახელიც უნდა გეთქვათ, შემთხვევით ავრორა ხომ არ ერქვა?

ცალკე განიხილავს მოითხოვს ლენინური ლოზუნგი: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება, პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ეს ლოზუნგი, დაახლოებით ერთი სტადიონის სიგარდისა, სულ ბოლო ხანამდე ამშვენებდა მოსკოვში რაღაც ქარხანას, რომელიც სასტუმრო „როსსაბ“ სამხრეთის მხრიდან მდინარე მოსკვას გადაღმა დგას. არ ვიცი, ქარხნის მესვეურებსაც მოეჩვენათ, რომ ამ ლოზუნგმა თავისი დრო მოჰმა, თუ თქვენსაკითხ ბუმბოვს გუნებაზე დადგენს, დღეს აღარ ჩანს იგი. ისე კი ამაზე აქტუალური ლოზუნგი ახლაც არ არსებობს. თქვენ გიკვირთ — ელექტროენერგია ვიპოვეთ და კომუნიზმი მაინც არ მოედისო. ალბათ, გულისხმობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე გვაქვს. სინამდვილეში კი არა გვაქვს! აბა, როგორ გინდა კომუნიზმი მიიღო, არაფერს თუ ელექტროენერგიას მიუმატებ? უკეთეს შემთხვევაში, პრესტროიკის წყალობით, საბჭოთა ხელისუფლებასაც მოვიპოვეთ, მაგრამ ამასობაში „პლუსი“ დავკარგეთ, „მინუსით“ კი კომუნიზმი არ გამოგვივა! ეს გახლავთ უბედურება და სახუმაროდ სულაც არა გვაქვს საქმე!

საერთოდ, საინტერესოა, როგორ წარმოგიდგენიათ ულოზუნგოდ ჩვენი ცხოვრება? გვექნება თუ არა პროდუქცია, თუ არ იქნა ლოზუნგი — „დიდება შრომას!“ ან როგორ გირჩენიათ, აღარც პროდუქცია, აღარც ლოზუნგი?

„პროლეტარებო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!“

სადღაა პროლეტარიო?! დავლუპულვართ და ეგ არის! — პროლეტარი ხომ კაპიტალიზმის მესაფლავა, კაპიტალიზმი კი სულს ლაფავს!.. ხომ დავგრჩა დაუმარხავი? ამიტომაც, წაშრომ-ნაჯაფართ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ ყოველ სალაშქროს რომ გვგონია, კაპიტალიზმი დავკრძალებით, დილით ისევე კარზე მოგვაყენებენ ვარლამ არაფიქსავით!.. რა გენათ, არ დავმარხოთ? ჰოდა, ამიტომ გვმართებს შევექნათ პროლეტარები და მოვავროვოთ, რათა დამპალი კაპიტალიზმი ერთხელ და სამუდამოდ დავკრძალოთ! თქვენ კი, ბატონო თამაზ, წუხხარო, საპირი და ასანთი აღარ გვაქვსო!.. აბა, როგორ გინდათ გაპროლეტარება მოვახერხოთ?

ერთმა უგუნურმა თავუნამ
სულ მთლად დაკარგა გონება:
სოროების თხრას დაეხსნა,
დაიწყო გამოგონება,
ზედ გადაკვდა, გადაჰყვა,
და გადააგო ქონება..

იფიქრა, იანგარიშა,
ესკიზიც ბევრჯერ წაშალა,
შექმნა საფრენი აპეზი,
ჭალადღე კოხტად გაშალა
და განაცხადი, ვით ჭერ არს,
დაწერა — გააშანშალა.

პასუხად საავტოროზე
შემოუთვალეს უარი:
რაც მაგაში ახალი,
აპკი არის თუ მუარი?
არ გამოდგება საფრენად,
რამე ხიანდეს თუ არი.

იწუნა, გაასაჩივრა
პასუხი ჩვენმა წრეწუნამ.
ის კი იმასთან გაგზავნეს,
პროექტი ვინც დაუწუნა.
იქ შეხვდა ფრთოსანს, ვისთანაც
სათქმელი დაიწუნუნა:

— ჩვენ, ძუძუმწოვრებს, ფრთა არ გვაქვს,
თქვენ კი დაფრინავთ ცაშიო;
მინდოდა, ჩვენც რომ გვეფრინა,
ვიყავი ამის ცდაშიო,
აპკი შევქმენი, მუშაობს,
რაც არის ცუდი მასშიო?

— შე მართლა ძუძუმწოვარავ,
მალლა მოგინდა ჭდომამო?! —
უთხრა მრისხანედ ფრთოსანმა.
— იცოდე გამოწომვავო,
შენი ადგილი რაც არის,
მეტის არ გმართებს ნდომამო!

ჩვენ ფრთოსნები ვართ, გვეკუთვნის
ცაში ფრენა და ნავარდი:
მაინც არ მოგცემთ გასაქანს,
მოგვართვა ია და ვარდი..
გგონია რამეს მიაღწევ,
საჩივლელად რომ გავარდი?

მართლაც, გავარდა თავუნა,
მაგრამ რამდენ ხანს, ანუ რად?
თვით გაიკეთა აპეზი:
ესში, ქვეყნისგან ფარულად
ცხოვრობს, ღამ-ღამე დაფრინავს
და ასე იქცა ღამურად.

მინახავს სპეციალისტი,
ბუდე რომ მალლა დაუდევს,
პირადი ანგარებისთვის
პროგრესსაც კვანტებს დაუდევს,
ტოლი რომ არვინ გაუხდევს,
ვინმე არ დაწინაურდეს!

აკოლონ ბასილია

ნახ. მ. ავაშიძისა



— სულ იმას გაიძახოდა, თქვენი გზა ტაძართან ვერ მიმიყვან-
სო და, ხომ მივიყვანეთ ეს საცოდავი?!

გაათმობი ტყუპი

მინიორ სიყვარული

(თანაც ხუმრობით)

„მიყვარს ლუდის ლოთები“.
3. ჯ ა ვ ა ხ ა ძ ე

ნიკოლოზ ორთქიფანიძის მოთხრობაში — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ — ერთი ასეთი ადგილია: შაქრო, მოთხრობის გმირი, რევოლუციამდელი თბილისის ერთ-ერთ რესტორანში შედის და სადილს მოითხოვს.

— დალევით რას დალევთ? — კიდევ უფრო მეგობრულად შეეკითხა მსახური, მაგრამ შაქრომ პასუხი ვერ მოასწრო, რომ იმავე მსახურმა შესთავაზა:

— ჯერ ბოვარიული ლუდი, და ბოლოს, ორიოდვე ჭიქა ლეინო!

შაქრო ყველაფერში დაეთანხმა.

საჭმელიც მიირთვა და სასმელიც. „ანგარიში ვერ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი — 4 მან. 30 კაპ. მეტად დიდად მოეჩვენა, მაგრამ მაშალი მაინც მსახურს დაუტოვა საჩუქრად და გამოვიდა ქუჩაზე“.

ეჰ, ჩემო შაქრო! ოთხი მანეთი რომ დიდი ანგარიში იყო მაშინდელი თბილისური რესტორნისთვის, დღევანდელი თბილისელებისთვის სულ ადვილი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ნაწყვეტი ამისთვის არ მოგვიტანია აქ. საინტერესო სხვაა: მსახური რომ შაქროს შეეკითხა, რას დალევით და თვითონვე რომ დაასწრო და ბოვარიული ლუდი შესთავაზა (!!!). გათხოვთ ყურადღება მიაქციეთ და წარმოიდგინოთ, ეს თბილისში ხდება — შედისხართ რესტორანში და ნაცნობ ოფიციატს გვერდზე გაყვანით ჩვენებურ ლუდს ან, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ჩეხურ ლუდს კი არ თხოვთ ყელის გამონევიტა და ნაცნობების შესხენებით, არამედ თვითონ გაძლევთ რჩევას — აგერ, ბატონო, ბოვარიული ლუდი გვაქვს ჩაცივებული და, თუ

დაგვდეთ პატივი და მიირთვით, უკმაყოფილო არ დარჩებით! ძნელი, მაგრამ სასიამოვნო წარმოსადგენია, დამერწმუნებით! პატარა შურის გრძნობაც შეიძლება გაუჩნდეს კაცს, მაგრამ გულს იმით დაიმშვიდებს, რომ შაქრო იმ ლუდს მაინც ვერ ჩაატანდა გემოს: ჯერ რევოლუცია არ არის მომხდარი და ლუდს (მით უმეტეს ბოვარიულს) მაინც იმპერიალიზმის სუნი დაჰკრავს!..

მოკლედ, ასეა თუ ისე, რევოლუცია მოხდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა და მოვალეობა დღემდე. მართალია, წელის თრევა არ დაგვკლავს, მაგრამ გული მაინც დამშვიდებული გვაქვს — რევოლუცია ხომ მოხდა, ხომ შეგვეცვალა ყოფა უკეთესით, არაფერი რომ არ დაკლებოდა უბრალო ხალხს, ეგ არ იყო მაგის მიზეზიც და მიზანიც?!

შეიცვალა დრო, შეიცვალა ბევრი რამ. შაქრო რომ სვამდა, ღმერთმა შეარგოს, მაგრამ მე დღევანდელი დღე მაინტერესებს და სანამ დღევანდელზე და საერთოდ ლუდის მნიშვნელობაზე ვიტყვოდე ადამიანის და პირადად ჩემს ცხოვრებაში, მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი მინდა გავისენო. ბატონი მუხრანი ჩვენი მამების თაობას ეკუთვნის და მასზე უკეთ სინამდვილის ამსახველად ვის მოვიშველიებთ?

...
— არაყი?
— ლუდი!
— ერთი?
— ერთი!
— ინებეთ!
— გამაღობთ!
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...

გნატრობი..

არ ვიცი, რევოლუციის შემდგომ საქართველოში როგორ იყო ლუდის პრობლემა მოგვარებული, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენი მამები რომ ჩვენი ასაკისანი იყვნენ, ეს საკითხი აშკარად დადებითად იყო გადაჭრილი და ეს ლექსიც ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანე. მიაქციეთ ალბათ ყურადღება, რომ აქ პატარა არჩევანსაც კი აქვს ადგილი და, რაც ყველაზე საინტერესოა ალბათ, — არც ერთი სიტყვა უკმაყოფილო კლიენტისა! უფრო მეტიც, ლუდი იმდენად კარგია, სასიამოვნო მონატრებასაც იწვევს.

თუ რა გვენატრება დღეს ჩვენ, ქვემოთ ვიტყვი, მანამდე კი მინდა შევასხურო ჩვენს მამებს, განსაკუთრებით უფროსი თაობის უნივერსიტეტელებს, რომ (როგორც მათივე მონაყოლიდან ვიცი), როცა ისინი სტუდენტები იყვნენ, ამ ჩვენი ცოდნის ტაძრის ირგვლივ (მიმდებარე ტერიტორიებზე) თურმე უამრავი საინტერესო და თავშესაქცევი ადგილი ყოფილა, სადაც ლუდიც მრავლად იყო და თავისებური, ბახუსით გამთბარი ქართული ინტიმიც.

ერთი სიტყვით, იმდროინდელ სტუდენტს, ჩვენგან განსხვავებით, ნასასვლეელიც და დასალევიც, ლექციების შემდეგ (ან სულაც ლექციებისას) ბევრი ჰქონდა.

ახლა ჩვენი თაობის პოლიტიკურად გააქტივების მიზეზებს რომ ეძებნ ხოლმე, მე ერთი იმათაგანი (შეიძლება განმსახვრელიც) სულ უბრალოდ მეასხება — სად და რა დავლიოთ, ის არ ვიცით (განსაკუთრებით ლუდი მაქვს მხედველობაში).

აბა, ერთ წუთს მომისმინეთ. ხომ ფაქტია, რომ საბჭოთა ხალხი პოლიტიკურად აქტიური გორბაჩოვის ხელისუფლების სა-

თავეში მოსვლის შემდეგ გახდა. და რით დაიწყო გორბაჩოვმა? სასმელის შეზღუდვითა და თითქმის აკრძალვით. და მოხდა საოცარი რამ: ამ ლოზუნგების, არაყის, ლუდისა თუ ლეინისაგან სამოცდაათი წლის განმავლობაში მთვრალმა ხალხმა, უცებ გამოფხიზლებულმა, აღმოაჩინა, რომ არც კარაქი აქვს და არც საპონი, არც ტულეტის ქაღალდი და პოლიტიკური სისტემაც ვერაა ისეთი ჯანსაღი, მტერს რომ თვალს დაუხსნის!.. აღმოაჩინა და ნაბახუსევზე ლუდს რომ ვერ მიაგნო (საშინელებაა მეორე დღი!), იმ ჭაობიდან ამოსადრომ გზებზე დაიწყო ფირი, მთელი ცხოვრება რომ გაატარა და არ უგრძენია, ან უგრძენია და ხმა არ ამოუღია!..

შეიძლება ჩემი ვარაუდი ვინმეს უსაფუძვლო ჩვენოს და ჩემი მოსაზრების გასამყარებლად კიდევ ერთ არგუმენტს მოვიტან: თითქმის ყველა სოციალისტურ სახელმწიფოში, ომის შემდეგ, მეტ-ნაკლებად იყო მოძრაობები, იყო პროტესტი. ყველაზე პასიური და თითქმის ბოლომდე შემრიგებლური, ამ შემთხვევაში, იყო და არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მე ბევრი მიფიქრია ამაზე, — რა აკავებს კედლის აქეთ დარჩენილ ხალხს, იდეოლოგიის გარდა? რა და... არ გაგვიცნით და — ლუდი!

ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, ვინც არ იზიარებს, ჩავიდეს გერმანიაში, ისე მაინც გასინჯოს იქაური დოლოცივილი ლუდი და ღმერთმა შეარგოს!

დღევანდელი ჩვენი სტუდენტობის უმტიკუნეულესი პრობლემაც ესაა. თანაც ქართველები ვართ, წინაპართა ტრადიციებს ვერ ვღალატობთ და ვსვამთ. დილით კი (გახსენებაც კი მზარავს!) თავდამძიმებული, ლუდს რომ ვერ ვაგნებ, ამ პა-

ტარა უბედურების მიზეზზე ვიწყებ ფიქრს და იმ დიდი უბედურების სათავესთან მივყავარ. მასსოვს, ერთი მიტინგის შემდეგ, ერთ კაბინეტში ერთმა უფროსმა კაცმა (უფროსში მარტო წლებს არ ვგულისხმობ), გაგულისხმებულმა ხელები გაშალა და მითხრა: — რას გავს ეს?! რა საქართველო აგიტყდათ ამ სტუდენტებს?! ჩვენც კი ვიყავით თქვენზე, ჩვენც ვიყავით სტუდენტები, მაგრამ ვქეიფობდით, სამშობლოს ბედზე კი არ ვფიქრობდითო!..

აი, მანდ არის სწორედ ძალის თავი დამარხული. როგორ ვურჩიო ეროვნული მოძრაობის მტრებს, მოუგვარეთ ხალხს ლუდის პრობლემა და ალარ შეგანუხებენ-მეთქი?! საყურადღებო რჩევა კია (თავის ქებაში ნუ ჩამოშორმევთ!), მაგრამ მაგის მომგვარებელი არ ურევია მაგათში! ეს ერთი და მეორეც: სანამ მთავარი არ მოგვარდება, სანამ ჩვენი თავის პატრონი ჩვენ არ ვიქნებით, არაფერში გვეშველება, ტყუილია! ამიტომაც არ ჩამეთვლება ზემოთქმული რჩევა ეროვნული მოძრაობის ღალატად.



(ისე, ღმერთმა მოგვასწროს და, მერე ნახეთ თქვენ, ოთხი მხრიდან ჩააცივებული ლუდი რომ წამოვა!).

მანამდე რა ვქნათ, ის მითხარით თქვენ, როდემდე ვირბინოთ თბილისის ქუჩებში ლუდის საძებნელად და თუ მივაგენით, როდემდე ვსვათ წყალწყალა სითხე, ეს მართლა ლუდის პროფანაცია?

ამერიკელებს რომ გავასინჯეთ „აქარასთან“ და არ დაიჯერეს, ლუდი არ იქნებაო, ვიფიცე ქარხნის დირექტორი, აგერ ზედანერია-მეთქი! გაუცინათ. სასაცილოდ და სამხიარულოდ აქვთ საქმე და ხომ არ დაუშლი? ჩვენ ვიკითხოთ, საშველი რომ არსაიდან ჩანს და ის რევოლუციაც რომ ტყუილა მოვიხდინეთ, როგორც ვატყობ!

...ის დალოცვილი შაქრო მაინც სვამდა ნესიერ ლუდს და ყველას რომ დაეღლია, იმაზე ოცნებობდა. ვისაც ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა ახსოვს, შაქრო დაჩაგრულთა რიგებიდანაა და რევოლუციონერი. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, შაქრო რომ ჩააცივებულ ბოვარიულს მიირთმევდა, ვინც დაჩაგრული არ იყო, ის რას დალევდა! აბა, რაღაზე იკლავდა შაქრო თავს, არავინ რომ არ სვამს ახლა? იმ ცხონებულ შაქროს უნდა დააღვინო რევოლუციის სახელით დღეში ხუთჯერ დღევანდელი, ჩვენებური ლუდი და იმ ჩამოგდებული ტახტის აღდგენა მოთხოვო ამ ლუდში ჩახრობის მუქარით!..

თუმცა პატარა უზუსტობას ვუშვებ და კინალამ გამომჩა, ახლაც რომ სვამენ აქა-იქ კარგ ლუდს. სად იშოვებაო, გაგეხარდათ ალბათ! — რაიკომის მდივანი უნდა იყო მინიმუმ! სად შოულობენ, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მე ჩემი მანუხებს, მაგათზე არავისზე ნაკლებად რომ არ მიყვარს ლუდი და რა ვქნა, არ ვიცი!.. ტანჯვაც განადლებული მაქვს, რადგან სულ

რომ ყელი გამიშრეს და თავი გამისკდეს ნაბახუსევზე, რაიკომის მდივნობა სიკვდილამდე არ მინდა (იქით, მგონი, აღარ უნდა იყოს მაგის საშიშროება!).

ჰოდა, რა ვქნა, გეკითხებით თქვენ, ვისაც ალბათ გიფი გგონივართ, ამ ვაი-უშველებელში ლუდზე რომ ვნერ, ან რა დაემართაო, ფიქრობთ! არაფერი — საგანგაშო! დავიღალე ამდენი დაძაბულობისგან და ხუმრობა გადავწყვიტე. აკი სათაურშივე გაგაფრთხილეთ, და თუ მაინც ვინმე გაიხსენებს, რომ ყოველ ხუმრობაში სიმართლის მარცვალ ურევია, ამ ჩემს ხუმრობაში იმ მარცვლის პოვნაც მისთვის მიმინდვია!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუსასი



ნახ. ბ. ზუბაშვილისა
ეროვნული
გონიერება

უსიტყვოდ

აქოქსნენი გზაზე

მედიკალი
ბიზნესი

მძაგს!

მძაგს სიყვარული —
მონური და
თვლებდათხრილი,
მძაგს მეგობრობა —
შემთხვევითი
და სარფიანი,
თანამდებობა —
პერანგივით
ფულით ნაყიდი
და პირფერობა —
უადგილო და თაფლიანი!
მძაგს სილამაზე —
უვიცობის დასაფარავი,
თაყვანდობაში
გადასული გამბედაობა
და ქვეყანაზე
კიდევე ისე არ მძაგს
არავინ,
ისე არავინ
მიმჩინია არარაობად,
როგორც ის კაცი,
ვისაც ცრემლი
არ გაჩნია,
ვის თვალშიც ოქრო
მზეზე უფრო
მძლავრად კიაფობს,
ვინც ოცნებებით
ერთხელაც კი
ცად არ აჭრილა,
გუბებში ზის და
ერყენება,
შავ ზღვას მიაპობს!..

მშალდიდობა

ადიდდა მდინარე,
მიანყდა მალღობებს,
ძირს უთხრის ატმებს
და აკაციებს!..
ნაპირთან გლეხები
დგანან და ნაღვლობენ,
იცინან მდინარის
ავკაცობა!..



ამ კაცს კი, სახე რომ
ასე გაბადვრია,
ლამის რომ სიხარულით
გათავდეს,
წყლიდან მოტივტივე
მორი გაათრია
და სულაც არაფერი
ადარდებს!..
ერთმანეთს გასძახეს
ბურჯებმა, ხიდებმა!..
მოგელავს მდინარე
და ენებს ასისინებს!..
ხალხი, წყალდიდობის
ნუ შეგეშინდებათ,
აი, ეს კაცი კი
ნამდვილად საშიშია!



პასუხი მილიონერს


მილიონერი ღარიბი
ხენეშის:

„ჩემი ცხოვრება
ლექსზე რთულია!“
.....

ჩემს წიგნს ნურასდროს
ჩაუგდებ ხელში,
ღმერთო, მას,
ვისაც ბევრი ფული აქვს!
ჩემს ბედს ნურასდროს
ჩაუგდებ ხელში,
ვისაც არ ესმის
ლექსი სრულიად!

სიყვარული ანგარიშით

უბრალო, უნაყოფო
ბებერ ხეს,
ეზოს კუთხეში რომ
აშოტილა,
ენებთან და
თავდავინყებით
შემოხვევია
ნორჩი, ხასხასა
იზაბელა!..
რას იზამ?! —
ზოგჯერ ანგარიშითაც
თხოვდებიან
ლამაზი იზაბელები,
იზოლდები,
ციცინოები!..



როდესაც პოეტს ტყვიან ესპრინა!

ქვეყანას, სადაც
მართალ პოეტს
ტყვიან ესპრინა,
სენი სჭირს
ძალიან საშიში!..
იქ შეუძლებელია
ხელისუფალს
ხალხის ესმინა,
ხალხი მინაზეა,
ის კი — ცაში ზის!

დგას ტრიბუნასთან

დგას ტრიბუნასთან
ვილაც საპყარი
და სხვათა საქმეს
სჯის და აფასებს,
ქართულ ენას კი
ისე ეპყრობა,
როგორც ჯალათი,
ან შამაბასი!

განგაპი

ბევრი საქმე არ ექნით
მოფიქრებით, მოზომვით,
დაგვეშუქრა ნამქერი
და სიმცირე ოზონის!..
ალარც გვალვა გვიცოდებს,
ალარც წარღვნა-გრიგალი,
დგას საკითხი სიცოცხლის
მთელი სიგრძე-სიგანით!..

ამღვრულა ჰაერი,
ვით ვერლიბრით შაირი,
ჟანგბადს ებრძვის აირი
ოცდათხუთმეტნაირი!..
ირმები და არჩვები

„ნუ მკლავთ!“ —
გვეხვეწებიან,
თავის გადასარჩენად
„წითელ წიგნში“ ძვრებიან!..
— „როგორც ერთი ოჯახი,
გონს მოდით და შეერთდით!“ —
კარს მომდგარი მოგვძახის
აგერ, ოცდამეერთე!

მათ არასოდეს იცინან, რა თმან!

ეს იმან მითხრა
ჩურჩულით, ჩუმად,
ბრძენი კაცი რომ
შემომხვდა გზაზე:

„თევზები განა
იმიტომ დუმან,
რომ პირი წყლით აქვთ
ყოველთვის საესე?
ხმას არ იღებენ
თევზები, რადგან
მათ არასოდეს
იცინან, რა თმან!“

ზომიერო მრატორს

შენი სიტყვა
არასოდეს არვის ესმის,
შენი სიტყვით
არასოდეს ვბრწყინდებით,
რადგან აზრებს
ჩაგვჩიჩინებს,
როგორც წესი,
ლინოტიპზე
ჩამოსხმული
სიტყვებით!

ჩუმად!

თავში ქვა უნდა გვეზალა,
ჩვენ კი ვამბობდით: „ჩუმად!“
და ედებოდა ქვეყანას
ეს შავი ჭირი — „ჩუმად!“
უნდა გვეძახა: „არ იქა!“
ჩვენ კი სულ: „ჩუმად!“
ჩუმად!

და დადიოდა კარიკარ
შიში და ჭირი — „ჩუმად!“
თუკი ვიტყვოდით რაიმეს,
ტუჩზე ვიკებდით უმალ:
„ეს რა ნამომცდა, ვაიმე,
რატომ არ ვეგადე ჩუმად?“



ახლა —
„თქვით, არვინ არ გიშლით!“ —
მაგრამ პირს ყველა კუმავს.
„რას ამბობ, ხომ არ გაგიყდი?“
არვინ გაგვიგოს! ჩუმად!

გრაჟომანის ნათესავი სადღეგრძელო

შენ გაგიმარჯოს,
ჩემო მკითხველო,
ჩემო მყიდველო,
არგანმკითხველო,
გაოცებულო,
გაცრუებულო,
აყვრებულო,
გაჩუმებულო,
ბევრის ამტანო,
ბევრის მომომენო,
ქუთაისელო,
მესხო, ფოთელო!..

ილუსტრაციები ზ. ლოლუას



— ამ სიბ ქვაზე ნერგს რატომ რგავს?
— ამბობს, სიმართლის ნერგია და მაინც იხარებსო!



ჩვენი საუკუნეში გაჩნდა სახელები — აეროდრომი, ველოდრომი, იპოდრომი, კოსმოდრომი... მაგრამ თელაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სახელებს კიდევ შეემატა ერთი „დრომი“ — „სამოკატკდრომი“.

ვისაც აინტერესებს, რას ნიშნავს „სამოკატკდრომი“, კონსულტაციისათვის მიმართეთ თელავის სამოქალაქო აეროპორტს (სანამ მთლიანად გააუქმებენ), საიდანაც ასეთ განმარტებას მიიღებთ: — „სამოკატკა“ არის თვითნაკეთი ორბორბლიანი (უფრო ეფექტიანი რომ იყოს, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტრაქტორის ამორტიზირებული საკისრები, რომელიც ასფალტზე სრიალის დროს გამოსცემს ჰარმონიულ ხმას) ფიცრებისაგან გაკეთებული, ერთი ფეხის დასადგმელიანი გადაადგილების საშუალება, მნიშვნელობა არა აქვს, მარჯვენა ფეხს დაადგამთ თუ მარცხენას, მთავარია, მეორე ფეხის პიძგით „სამოკატკა“ მოიყვანოთ მოძრაობაში... თუ რა სიკეთე მოაქვს მას ადამიანის ჯანმრთელობისათვის, აიხსნება სულ რამდენიმე სიტყვით: ადამიანს ფეხის კუნთებს უვითარებს და სიცოცხლესაც უხანგრძლივებს. ყველა ამ ღირსების გამო კახელმა ნიანგმა გადაწყვიტა ამოყვინთოს მდინარე მტკვრიდან ქ. თბილისში (ჩაყვინთა მდინარე ალაზანში) და მიმართოს თხოვნით რესპუბლიკის სამოქალაქო აეროპორტის სამმართველოს მესვეურებს მისცენ უფლება, რომ თელავის აეროპორტის ტერიტორიაზე, რომელიც რამდენიმე წელია თვითმფრინავების მიმოსვლისათვის არ გამოუყენებიათ, გაიხსნას კოოპერატივი „სამოკატკდრომი“, ვინაიდან ასფალტბეტონის ბილიკი „აკმაყოფილებს“ მსოფლიო სტანდარტს „სამოკატკეებით“ შეჯიბრებისათვის (გამაჯანსაღებელ მეცადინეობებზე მიიღებოან ორივე სქესის მოქალაქეები ოთხმოც წლამდე ასაკისა).

თვითმფრინავი თუ „სამოკატკა“?

ფელატონი



1983 წელს თელავის სამოქალაქო აეროპორტის რეკონსტრუქციის დროს გააკეთეს თვითმფრინავების ასაფრენი (თუ თვითმფრინავი არ დაფრინდა, რას აფრენენ?) ერთი კილომეტრი და შვიდასი მეტრი სიგრძისა და ოცდათხუთმეტი მეტრი სიგანის ასფალტბეტონის ბილიკი, გაალამაზეს და ხის ფილებით მოაპირკეთეს მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, სამომსახურო ოთახები და სასტუმრო შენობის შიდა კედლები. დადგეს რბილი სავარძლები და სხვა ინვენტარი. სამშენებლო სამუშაოები ხარისხიანად ჩაატარეს სასოფლო-სამეურნეო კომუნალური მეურნეობის თელავის სარაიონთაშორისო გაერთიანებამ და ხიდების სარემონტო სამშენებლო №9 სამმართველომ, მაგრამ... ეტყობა მშენებლებმა ადრევე ინი-

ნასწარმეტყველეს, რომ „სამოკატკელებს“ უნდა ესარგებლათ მათი ნახელავით და არაფერი დაიშურეს იმისათვის, რათა აეთვისებინათ რაღაც ერთნახევარ მილიონ მანეთზე მეტი თანხა...!

მიტოვებულ ასფალტბეტონის ბილიკებზე, თუ არ გავითვალისწინებთ თუშეთის მიმართულებით ვერტმფრენების მოძრაობას, ცოტა ხანს მაინც დაქროდა „იაკ-40“ მარკის სამგზავრო თვითმფრინავი. მთლიანად არ „დაუჩაგრავთ“ კახელები, რამდენიმე ბედნიერ ფეხს საჰაერო ხომალდით მგზავრობდნენ თელავიდან სოხუმში, ბათუმსა და თბილისში... ერთ, თელაველებისათვის არასასიამოვნო დღეს, „იაკ-40“ მარკის თვითმფრინავს „ტაოტი“ გაუტყდა და ამით დამთავრდა და წერტილი დაესვა თელავიდან თვითმფრინავით მგზავრობას! რესპუბლიკის აეროპორტების ხელმძღვანელებმა დიდი „ზრუნვა“ გამოიჩინეს კახელების მიმართ, რათა გომპორის უღელტეხილზე გადაფრენის დროს მგზავრებს გაული ცუდად არ გახდომოდათ. რჩევას იძლევიან, იმგზავრონ დედამინაზე „ბირჟავიკითა“ ავტომანქანებით. განა სულ ერთი არაა, მგზავრობისათვის გამიზნულ ფულს სად დააბანდებენ, სახელმწიფო საღარიბო თუ „ბირჟავიკის“ ჯიბეში?

უნდა დავუჯეროთ! კახელებს ადრე ეგონათ თელავის სამოქალაქო აეროპორტზე ახალი მარშრუტები გაჩნდებოდა თელავი—მოსკოვი, თელავი—რიგა... ეგონათ!

ალბათ სამოქალაქო აეროპორტის სამმართველოს უფროსები დაეხმარებიან კახელებს თვითმფრინავის „შოვნაში“ — კახელებს თვითმფრინავი უფრო აძლევთ ხელს!

ჯანო ბიორგელაშვილი.
„ნიანგის“ კორესპონდენტი
თელავის ზონაში.



— სად მიგაქვს სახელმწიფოს ქონება?!
— კოოპერატივში!


ოლიმპიურა შერეოიანებს

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო მუ-
ტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება! — კენჭი უყარეს ზამთ-
რის ოლიმპიადის კანდიდატურებს ბაკურიანს, ალმა-
ათას და სოჭს და ხმის დიდი უმრავლესობით უპირატესობა
მიანიჭეს ქალაქ სოჭს, ბაკურიანი მეორე საპრიზო ად-
გილზე გავიდა, რაც ჩვენ იმ უპირატესობას გვაძლევს, რომ
ზამთარში ბაკურიანიდან სოჭში ჩავიტანთ თოვლს და ოლიმპი-
ური თამაშები მაინც ქართულ თოვლზე ჩატარდება!

რაც შეეხება ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, რაკი ოლიმპი-
ური კომიტეტის ნევრთა 90 პროცენტი რუსეთის ფედერაციის
ნარჩომადგენელია, მათი გადაწყვეტილებით, იმედია, ასპარე-
ზობის ადგილად სულ მალე შეირჩევა ჩრდილოეთის ყინულო-
ვანი ოკეანე, სადაც საქართველოდან ჩაიტანენ ოლიმპიური სტა-
დიონისათვის ქართული სამყურა იონჯით დაფარულ ბელტებს
და გაიხარებენ თეთრი დათვები — ოლიმპიური მოძრაობის საუ-
კეთესო დამფასებლები!



აკციპიტარი






იანოზ კომლოზი (უ ნ გ რ ე თ ი)

გადაცემა

ძალიან მიყვარს სპორტული ტელეგადაცემები. ზოგს ეს იმით მოსწონს, რომ უფრო მოსახერხებელია: არ გვირდება სტადიონზე წასვლა ხალხით გაჭედილი ავტობუსით, არც დაიღლები, არც ვინმე შეგაწუხებს!.. ზოგსაც ეკონომიკური თვალსაზრისით ურჩევნია: ზედმეტი ხარჯების გარეშე შეუძლია უყუროს მატჩს! მე კი, პირადად, ორმაგი შთაბეჭდილების გამო მომწონს.

რას ვნახავ, სტადიონზე რომ წავიდე? არცთუ ისე კარგ თამაშს, ტელევიზორში კი არამართო ვნახავ, მოვისმენ კიდევაც. ტელეკომენტატორი მაშინვე ყველაფერს ამიხსნის და ერთგვარად შეარბილებს შთაბეჭდილებასაც. მაგალითად, აი, ასეთი მომენტი: ვხედავ, რომ ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ტიპონია მეტად ხელსაყრელ მომენტში არა და არ ურტყამს ბურთს და ისე ტეკნის მიწას ცარიელ კარის წინ, თითქოს მას სულ არ ეხებოდეს თამაში. ვხედავ ამას და მზადა ვარ ლარნაკი ვთხოვო ტელევიზორს, მაგრამ ამ დროს მესამის კომენტატორის ხმა: „ტიპონია ტაქტიკურ ძიებაშია, ხელსაყრელ მომენტს უცდის!“ მე კი მეგონა, ადგილს არჩევდა დასაძინებლად. მაგრამ თუკი ის ტაქტიკურ ძიებაშია, თანაც სიტუაციის შესატყვისად, ეს უკვე სულ სხვა საქმეა!



დამწვიდებული თვალს არ ვაცილებ ტიპონის, რომელიც რამდენიმე წუთი ისე გულმოდგინედ ტეკნის ადგილს ღარტყმის ნაცვლად, რომ მოწინააღმდეგის მთელი გუნდი გაოცებული შეჰყურებს და მინდორის მეორე ბოლოდან ტრავმირებული ფეხბურთელიც კი კოჭლობით მოხოხავს მისკენ იმის გასაგებად, თუ რატომ არ ურტყამს კარში. ის კი ერთი-ორჯერ არჩეინად გაისწორებს ბურთს, სასხვათაშორისოდ ურტყამს და პირდაპირ ფეხებში უგორებს მოწინააღმდეგეს!..

ამის შემხედვარე გიჟივით ვღრიალებ, მაგრამ კომენტატორი მაშინვე მიქარწყლებს მღელვარებას: „ნაღლი საგულე მომენტადან ასპროცენტთან გასატან ბურთს მცველები იგერიებენ!“

ასე მაშვილებს კომენტატორი ყოველ წუთს. მსაჯი გამაფანტებელ შეცდომებს უშვებს, ჩქარობს, არაობიექტურია, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს წესები არ იცის, განუწყვეტლივ უსტვენს გულისწირის მამიებელი შავივით. კომენტატორი კი ასე მისხნის მის მოქმედებას: „მსაჯი, რომელიც აქამდე ხანმოულოდ ახარულებდა თავის მოვალეობას, ახლა თითქოს... თუმცა ეჭვგარეშე...“ და აღარ ამთავრებს წინადადებას, რადგანაც იმ წამს ბურთიდან 50 მეტრის დაშორებით მყოფი ვანცაკი ალბათ თავისი განცდების გავლენით ბაყაყით დაახტება ფირგეს!.. „წესების მცირეოდენი დარღვევა, — ასე განმარტავს კომენტატორი მის მოქმედებას, — ეს ხდება ხოლმე დაძაბულ თამაშში, მაგრამ

აი, ვანცაკი უკვე ხელს ართმევს ფირგეს! ასეც უნდა მოქცეულიყო! ასეა მიღებული სპორტსმენებში მეტად ამაღელვებელი მომენტია!“

იგი ისეთი აღფრთოვანებით უკეთებს კომენტარს ამ ხელის ჩამორთმევას, რომ მე ნერვულობისაგან უკვე ვიწყებ ცხვირით სტვენას და ყურების ბარტყუნს, რადგანაც თვალთ სულ სხვას ვხედავ და ყურით სულ სხვა მესმის. კომენტატორი გაპყვირის: „საშუალო სიძლიერის დარტყმით ბურთი სულ მცირე მანძილით სცდება კარის ზედა ძეგს“, მე კი ვხედავ, როგორ ასწორებენ ბურთით წაქცეულ კუთხური დარტყმის ალამს!..

თამაში სულ უფრო უფერული და მოსაწყენი ხდება, ფეხბურთელები ჯგუფ-ჯგუფად ღვანან მოედანზე, აქეთ-იქით იყურებიან, თითქოს მათ სულ არ ეხებოდეს თამაში, კომენტატორი კი ავტორიტეტულად აცხადებს: „აი, სულ ცოტაც და... აი, ახლა დაარტყამენ!..“ და მიუხედავად იმისა, რომ მაინც და მაინც თავს აოხვინ იწყებს გოლის გატანით, იმეორებს და იმეორებს: „ამჯერად ახალბედა ფეხბურთელმა სიფრთხილე გამოიჩინა“. ესე იგი, საჭირო არაა ნერვულობა, რადგანაც, კომენტატორის აზრით, „თავდაშემხმელები კარგად კი თამაშობენ, მაგრამ გოლის გატანა არ შეუძლიათ“. იმასაც აღნიშნავს, რომ „ახლა თამაშის ტემპმა თანდათან იკლო“. და ამას მეუბნება მე, რომელიც აგერ უკვე 80 წუთი ველოდები, როდის დაიწყება საინტერესო ორთაბრძოლა, ნამდვილი თამაში!

სწორედ ამიტომ მიყვარს სპორტული გადაცემების ტელევიზორით ყურებაც და რადიოთი მოსმენაც. რადიოთი არა მარტო მაშვილებენ და მაშინეებენ, ისეთ ამაღელვებელ, საინტერესო და გააზრებულ მატჩებს გადმოსცემენ, რომ სიხარული მიორკეცდება! რადიოთი ისეთი თავბრუდამხვევი ტემპით გადასცემენ მატჩს, რომ მოთამაშეები ვერც კი ასწრებენ კვლდაკვალ მიჰყვენ კომენტატორის ნათქვამს.

რადიოს თვალდახუჭული ვისმენ!.. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება?! წუთუ მართლა ასე თამაშობენ! ვგრძნობ, რომ რადიოთი მატჩს კი არ გადმოსცემენ, არამედ ჩემს ადრეულ მოგონებებს ფეხბურთზე!..

პირდაპირ ბრწყინვალეა ეს სპორტული გადაცემები რადიოთი და ტელევიზიითაც! ამიტომ წინადადება შემომამქვს, სანამ ასე სუსტია ჩვენი გუნდები, საჭირო არ არის არც შეჯიბრებების, არც ჩემპიონატების ჩატარება — უმჯობესია მხოლოდ სპორტული გადაცემებით დავემყოფილდეთ!

უნგრულიდან თარგმანა
ლილი მაისურაძე-მორგოზიამ



საბირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“ № 21
(1799). ნოემბერი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ივანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნოზლი
ხართაია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
ნალ ლოლუა (მხატვარ-რე-
დაქტორი). ნოდარ მალა-
ზონია, ალექსანდრე სამ-
სონია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგვიძაძე, ნა-
ფი ჯუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნდუა

გადაცემა ასაწყობად
2. 10. 89 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 10. 11.
89 წ. ქალაქის ზომა
60×90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1.5. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ-
ცის გამოცემა ღო ბ ა,
ლენინის 14. შეკვ. 2180.
უე 04720. ტირაჟი 130100.
ჟურნალი გამოდის თვეში
ორჯერ, რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან-მე მ ა ნ ქ ა ნ ი ს —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კპ.



ინდექსი 76187

